აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №13
2018 წლის 20 აპრილი

აბაშა

„აბაშის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 დეკემბრის №56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ მე-80 მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

,,აბაშის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 დეკემბრის №56 დადგენილებაში, (www.matsne.gov.ge, 15.12.2017 სარეგისტრაციო კოდი 190020020,35,110,016,319) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) **დადგენილების სარეზოლუციო ნაწილის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის ,,3.2.1.“ ქვეპუნქტს შეეცვალოს სათაური და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,3.2.1. ა(ა)იპ აბაშის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების განვითარების ცენტრი (კოდი 05 02 02 03).“.

ა.ბ) **დადგენილების სარეზოლუციო ნაწილის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის „4.2.“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„4.2. მოსახლეობის ჯანმრთელობის სტაციონარული მომსახურება და ამბულატორიების მშენებლობა (კოდი 06 02)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბენეფიციარების იმ სამედიცინო მომსახურების წილის თანადაფინანსებას პაციენტის დაუფინანსებელ წილში:

ა) ბენეფიციარები, რომლებიც რეგისტრირებულები არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში და გააჩნიათ სარეიტინგო ქულა 0-დან 100.000 ჩათვლით, სამედიცინო მომსახურების მოთხოვნისას დაფინანსდეს: 100 (ასი) ლარიდან 500 (ხუთასი) ლარამდე ღირებულების შემთხვევაში 100%-ით, ხოლო 501 ლარიდან ზემოთ ღირებულების შემთხვევაში 80%-ით, მაგრამ არაუმეტეს 1500 (ათას ხუთასი) ლარისა;

ბ) ბენეფიციარები, რომლებიც რეგისტრირებულები არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში და გააჩნიათ სარეიტინგო ქულა 101000-დან 200000 ჩათვლით, სამედიცინო მომსახურების მოთხოვნისას დაფინანსდეს:

ბ.ა) 200 (ორასი) ლარიდან ღირებულების – 70%-ით, მაგრამ არაუმეტეს 1500 (ათასხუთასი) ლარისა;

გ) ბენეფიციარები, რომლებიც რეგისტრირებულები არიან სოციალური მომსხურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში და გააჩნიათ სარეიტინგო ქულა 200 000-ზე ზევით, ან არ არიან რეგისტრირებულები სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში და არ გააჩნიათ სარეიტინგო ქულა, სამედიცინო მომსახურების მოთხოვნისას დაფინანსდეს:

გ.ა) 250 ლარიდან 1000 ლარამდე ღირებულების შემთხვევაში – 50%-ით;

გ.ბ. 1001 - ლარიდან 2000 ლარამდე ღირებულების შემთხვევაში – 40%-ით;

გ.გ. 2001 ლარიდან ზემოთ ღირებულების შემთხვევაში – 30 %-ით, მაგრამ არაუმეტეს 1200 (ათასორასი)

ლარისა;

დ) 0-დან 5 წლის ასაკის ბავშვებისათვის გადაუდებელი სტაციონარული სამედიცინო მომსახურება დაუფინანსებელ წილში განისაზღვროს: 50 (ორმოცდაათი) ლარიდან 500 (ხუთასი) ლარამდე ღირებულების შემთხვევაში 100%-ით, 501 (ხუთასერთი) ლარიდან ზემოთ ღირებულების შემთხვევაში- 70%-ით, მაგრამ არაუმეტეს 1500 (ათას ხუთასი) ლარისა.

ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება ქ. აბაშაში სსიპ "საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის და გადაუდებელი დახმარების ცენტრი"-ის ოფისის მშენებლობის სამუშაოები.".

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **მამუკა კვიტაშვილი**